№ 25. 4 თებერვალი, ოთხშაბათი. 1866—1881 4 თებერვალი, ოთხშაბათი. № 25.

**რედაქცია**

კალაკვინის ბრილიანტზე ი. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-ბოლოერა**

მიიღება „დროებაში“ „ივერიის“ რედაქციაში. გარე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

წელიწადში. 6 თვეს. 3 თვეს

„დროება“ და „ივერია“ ერთად 14 მან. . . 8 მ. . 5 მ.

ცალკე { „დროება“. . . . . 9 მან. . . 5 მ. . 3 მ.
„ივერია“. . . . . 7 მან. . . 4 მ. . 2 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ხვეულებრივის ასოთ; შავრულით ასოზე ნახევარი კაპ., ხეულებრივის ასოთ ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროებას მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

## ვეფხვის ტყაოსანი

**ვეფხვის ტყაოსნის** ხელთ-ნაწერ ვარიანტებთან შემათანხმებელი რედაქცია სთხოვს ყოველთა ქართული მწერლობის მოყვარეთა მობრძანდნენ პირველს რედაქციის სხდომაში. **პარასკევს 6 თებერვალს,** საღამოს 8 საათზე. სხდომა იქნება თბილისის საადგილ-მამულო ბანკში.

## ტელეგრამები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

**პეტერბურღი,** 2 თებერვალს. გუშინ დიდის ამბით დასასაფლავეს მწერალი დოსტოევსკი. ეკკლესიაში დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. რამდენიმე სიტყვა ეარმოითქვა.

**სტამბოლი,** 1 თებერვალს. ეგვიპტის აგენტ-მოფოთბა თან-და-თან ძლიერდება სტამბოლში.

**ვარშავა,** 1 თებერვალს. გაზეთ „გოლოსს“ სწერენ, რომ გუშინ ჭკუიდამ შეშლილი ლეგოჯ ბლაგოძინსკი ძალით შეეგარდა ლენ.-ლუბ. გრაფ-ალბედინსკის სადგომში და კალმის ლანით დასჭრა ერთი ეაზახი-რუსი; შემდგომ შეეიდა მეორე ოთახში, სადაც გრაფის ადიუტანტი კოტებუ იყო და ამას მიეარდა; შეიქნა ბრძოლა; მაგრამ ამ დროს სხვები მოეშველნენ ადიუტანტს და ეს შეშლილი კაცი დაიჭირეს და პოლიციაში გაგზავნეს.

**პეტერბურღი,** 2 თებერვ. „გოლოსში“ დაბეჭდილია: სელმწიფე იმპერატორმა დაამტკიცა მინისტრების კომიტეტის აზრი, გუბერნიის საგლეხო პრისუტსტვიებს მიეცეს უფლება, რომ გლეხებსა და მემამულეებს შუა ადგილ-მამულის ნებაყოფლობით გაცვლისა და სამზღვრის საქმე გადაწყვიტონ.

### სამღვდელოების უფლების შევიწროება

ტფილისი, 3 თებერვალს.

ყველამ იცის—თუ რა დამცირებული იყო წინეთ სამღვდელოების უფლება სასულიერო სასწავლებლის შესახებ. იმათ არ ჰქონდა არაევითარი ხმა სასწავლებლის უფროსებზე და მასწავლებლებზე; მაგრამ, მართალი უნდა სთქვას კაცმა, არც არავინ სამღვდელოებას აწუხებდა სასწავლებლების შენახვაზე...

1867 წელს გამოვიდა სასულიერო სასწავლებელთა შესახებ **უმაღლესად** დამტკიცებული წესდება, რომელიც შესდგება 129 მუხლიდამ. ამ წესდებით სამღვდელოებაზეა დამოკიდებული სრულებით სასწავლებლის შენახვა. ეს ვალდებულება დიდათ სამძიმო არის სამღვდელოებისთვის; მაგრამ ამ წესდებაში არის ერთი მუხლი, რომელიც სამღვდელოებას ანიჭებს დიდ უფლებას; მე-47 § ძალით, ეპარხიის სამღვდელოების ყრილობას აქვს უფლება გამგე და უფროსი სასწავლებლისა თვითონვე აირჩიონ.

**სამღვდელოებას ეუბნებოდნენ:**— „სასწავლებელი თუ გსურთ, თქვენ შეინახეთო; მაგრამ თქვენვე აირჩიეთ სასწავლებლის ზედამხედველი, რომელსაც თქვენვე ენდობოდეთო“.

**რა** გაეწყობოდა. **თუმცა** ბევრი ხრიკები შეუძლია სასწავლებლის ზედამხედველს, მაგრამ მაინც თავ-დაკავებულები იყვნენ იმის შიშით, რომ სამღვდელოებას, როგორც დაყენება, ისე გამოცვლა შეეძლოთ მათი. **ამასთან** მღვდლებიც მისთანა კაცებს ირჩევდა და არჩევენ, რომელზედაც გული ჰქონდათ დანდობილი და რომელშიაცა სინიდისს ჰხედავდნენ...

**მაგრამ,** ჰოი, არაფერი არ არის მტკიცე ამ წამხდარ და გაფუჭებულ ქვეყანაზე. **ყველაფერი** იცვლება. **ყველაფერი** წალმა უკუღმა ტრიალებს. **რაც** 'მენ კლდესავით მტკიცე გგონია, მეორე დღეს ირღვევა. **ბამოცხადდება** საყოველთაოთ: „იყოს ასე“. **მეორე** დღეს გესმის: „ასე ნუ იქნება.“ **რატომ? რა** მიზეზისთვის? **ისე** ქეიფისათვის! **ჭეშმარიტად** ამბობს ქართული ანდაზა: „მექოთნეს საითაც უნდა, იქით გამოაბამს ყურს ქოთანსო“.

**თორმეტმა** წელიწადმა გაიარა სწორეთ მას აქეთ, რაც 47 მუხლი სასწავლებლის წესდებისა ძალაში იყო ჩვენთვის.

**წარსულ** წელში, იმ დაკუპრულ დღის შემდეგ, როდესაც ბატონი **სინაისკი** და **ფავორკი** არ აირჩია **თფილისის** სამღვდელოებამ **თფილისის** სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად, მოიფიქრეს ჩვენმა განათლებულ სემინარიის და სასწავლებლის მასწავლებლებმა, რომელთა რიცხვში ბრძანდებოდა ბატ. **ტატიევიც** (ქართველი), სთხოვონ **ექსარ-**

## «დროების» ფელეტონი, 4 თებერვალი

### სათეატრო შენიშვნა

„**ბოლ**-შვილის პატრონი კაცი რომ საითმე გაემგზავრება, დაბრუნების დროს ყოველთვის ის უნდა ჰქონდეს სახეში, რომ ოჯახი არეულ-დარეული დაუხვდება, ქონება სულ დამწვარი, ფულები მოპარული, ცოლი მკვდარი, ვაჟი-შვილი ყელ-გამოჭრილი და ქალი-შვილი გაუპატიურებული, და თუ ესეები ყველა ერთად არ აუსრულდა, ღმერთს მადლობა უნდა შესწიროს და თავი ბედნიერათ ჩაითვალოს.—**ჩემთვის** მაინც ესეები ყველა ცხოვრების **კანონია:** როდესაც შინ ვბრუნდები, ყველაფერს ერთად მოველი ხოლმე: **ბატონის რისხვას, ღანძღვას, გინებას, გთრევას, გაუშტიურებას და სხვ... და თუ ესენი ეგენი ერთად არ გადამხდა, ჩემს ბედზედ კმაყოფილი ვარ და ღმერთს მადლობასა ვსწირავ ხოლმე.**“

ასე ეუბნება **სკაპენი** **არგანტს** ერთს **მოლიერის** პიესაში—„**სკაპენის** ცუდლუტობა“.

**ეს** სიტყვები **უნდა** ახსოვდეს იმას, ვისაც **უნდა,** **რომ** **საზოგადო** ასპარეზზედ **გამოვიდეს,** **იმისთანა** ასპარეზზედ, **რომელიც** **არც** **შრომის** **სასყიდელს** **აძლევს** **და** **ვერც** **გარეგნობით** **ამაღლებს** **მშრომელს,** **რომ** **მით** **უგნურ-უმეტესობის** **თვალში** **ფასი** **მოემატოს** **და** **პატივ-საცემი** **ჰყოს.**

**საზოგადოთ** **გაუნათლებელ** **ქვეყნებში** **და** **განსაკუთრებით** **ჩვენში** **ამ** **გვარ** **ასპარეზებში** **უპირველესი** **ადგილი** **უჭირავს** **სამწერლო** **ასპარეზს.** **ჩვენში** **პატიოსანი** **და** **ნამდვილი** **მწერალი** **ყოველთვის** **უნდა** **იგონებდეს** **თავის** **გასამხნევებლათ** **ამ** **სკაპენის** **სიტყვებს.**

**მწერალი** **მუდამ** **თვალ-ყურს** **ადევნებს** **მისის** **ქვეყნის** **ცხოვრება-მოძრაობას;** **შეუნიშნავი** **არა** **ურჩება-რა** **და** **ყოველს** **მოვლინებას** **თავის** **საკადრისს** **პასუხს** **აძლევს,** **ავს** **ავათ** **იხსენიებს** **და** **კარგს** **კარგათ,** **საქებს** **აქებს** **და** **საგმობელს** **ამაგებს,** **და** **კიდეც** **ეს** **არის** **ის** **საფუძველი,** **რომელიც** **მას** **ცხოვრებაში** **ეკალს** **უთესავს** **სამაგიეროთ.** **ეი** **როგორ:** **კაცი** **ისეთი** **თავ-მოყვარე** **ცხოველია,** **რომ** **რაც** **უნდა** **მოიწონო,** **რამდენიც** **უნდა** **შეასხა** **ქება,** **გინდ** **ცამდინაც** **აამაღლო,** **მაინც** **არაფრათ** **შეიმჩნევს** **და** **ასე** **ფიქრობს:** „**რა** **ეუყოთ** **მერე,** **რომ** **მაქეს?** **მე** **კიდევ** **მეტის** **ღირსიცა** **ვარო!** **და** **სხვ...** **რომ** **აქეს,** **ის** **კი** **არ** **დააეიწყდება,** **მაგრამ** **ეინც** **აქო,** **ის** **კი** **აღარ** **აგონდება...** **მაგრამ,** **თუ** **კი** **კაცი** **ავით** **მოიხსენიე,** **გინდ** **გაკვრით,** **მცირეოდენათაც,** **გინდ** **პირდაპირაც** **არ** **იყოს** **მოხსენებული** **და** **მხოლოდ** **თავის-თავი** **როგორმე** **იცნოს,** **ამაშინ** **კი** **უეჭველად** **აიჭურვება** **მომხსენებელის** **სამტროდ** **და** **სიკვდილამდე** **არ** **ამოსცილდება** **გულიდამ;** **ხშირათ** **თვითონ** **მწერალს** **აღარ** **ახსოვს** **ის,** **რაც** **სხვათა** **შორის** **გაკვრით** **ოცის** **ან** **რამოდენიმე** **წლის** **წინეთ** **უთქვამს..** **ეიზედაც** **იყო,** **ის** **კი** **დაუძინებელი** **მტერია** **და** **ხმარობს** **იმ** **იარაღს** **სამაგიეროს** **გადასახდელათ,** **რისაც** **ხმარება** **შეუძლია** **ე.** **ი.** **ქვეშ-ქვეშობს,** **გაიძვერულად** **სდევნის,** **ჭორიკანაობს** **მაზედ,** **ცილის-მწამებლობს,** **ცრუდმობეზღროობს** **და** **სხვ.** **და** **სხვ...** **ახლა** **მარტო** **ერთი,** **ორი** **და** **ასი** **ხომ** **არ** **იქნება** **მწერლისაგან** **ამ** **გვარათ** **ნაჩხვლეტი!..** **უმრავლესობა,** **რადგანაც** **ცუდი** **ყოველთვის** **მეტია** **კარგზედ.** **ამასაც** **დაუმატეთ** **ის** **მათი** **ამყოლი** **ხალხის** **უმეტესი** **ნაწილი,** **რომელსაც** **ახლოლად** **სხვისი** **ყურით** **ესმის,** **სხვისის** **თვალებით** **იყურება,** **თავის-თავათ** **აწონა** **რამესი** **კი** **ეზარება** **და** **მაშინ** **მიხვდებით** **თუ** **რა** **მიზეზია,** **რომ** **საზოგადოთ** **იმ** **გვარ** **მუშა** **კაცებზედ** **რათ** **არის** **ხალხი** **სიცოცხლეში** **უსამართლოთ** **უსაფუძლოთ** **მიმდგარი** **და** **სიკვდილის** **შემდეგ** **კი,** **როდესაც** **მხოლოდ** **იმ** **პირების** **ნაწარმოები** **ურჩებათ** **ხელში,** **იცვლიან** **ჰაზრს** **და** **მადლობელი** **რჩებიან.**

**მაგრამ** **არის** **ერთი** **ასპარეზი** **კი,** **რომელიც** **არ** **ეკუთვნის** **ამ** **გვარ** **ზემოხსენებულ** **ასპარეზებს** **და** **სრულიად** **განცალკევებული** **ძალაცა** **აქვს.** **ეს** **გახლავს** **სათეატრო** **ასპარეზი.** **იქ** **საჭირო** **არ** **არის** **ხანგრძლივი** **შრომა** **და** **თავ-განწირულობა,** **რომ** **კაცმა** **სიცოცხლეშივე** **თავის** **საქმე** **გაიუმჯობესოს** **და** **კმაყოფილი** **დარჩეს** **თავისი** **ბედისა;** **ძალიან** **მოკლე** **ხნის** **განმავალობაში,** **ხშირად** **ერთს** **ორ** **დღეში** **ისინი** **იგებენ** **ხალხის** **გულს** **და** **თანვე** **დიდ** **სასყიდელსაც** **იღებენ,** **როგორც** **მატერიალურის,** **ისე** **მათის** **თავ-მოყვარეობის** **და** **საკმაო** **ყოველ** **მხრითაც.** **სცენაზედ** **არა** **თუ** **დიდი** **ნიჭი,** **მცირეოდენიც** **არ** **რჩება** **დაუსაჩუქრებელი.** **იმათი** **ერთი** **ვაცინება,** **ერთი** **უბრალო** **დაპრანჭვა,** **ერთი** **ხელის,** **ან** **ფეხის** **განძრევაც** **არ** **იკარგება** **მათთვის** **მაშინ,** **როდესაც** **სხვა** **ასპარეზებზედ** **კი** **მართლა** **დიდი** **ნიჭი** **და** **თავ-განწირვა** **შეუნიშნავათა** **რჩება,** **ანუ** **უფრო** **მართალი** **იქნება** **რომ** **ვსთქვათ,** **უმნიშვნელოთ** **არ** **რჩება,** **მაგრამ** **მომქმედი** **პირებას** **საშავ-დღეოთ** **და** **არა** **სასარგებლოდ.**

**ავიღოთ** **მაგალითი:** **რამდენი** **თავ-**

ხოსს, რათა მან მოახდინოს განკარგულება და ჩამოართვას სამღვდელოებას უფლება ზედამხედველების არჩევისა. ეგზარხოსმა დიდის კმაყოფილებით მიიღო ბატონი სინაისკის და სხვებთა აზრი და სთხოვა უწმინდეს სინოდს, რომ მას მიანიჭონ სასწავლებლის ზედამხედველების და მათი თანაშემწეების არჩევა და გამოცვლა. უწმინდესმა სინოდმა მოისმინა ვრცელი მოხსენება საქართველოს სამღვდელოების წინდაუხედაობაზე და კადნიერებაზე, რომ მათ გაბედეს ქართველი კაცის არჩევა სასწავლებლის ზედამხედველად. უწმინდესის სინოდის მოხსენებით ხელმწიფე იმპერატორმა 11 ნოემბერს დაამტკიცა საქართველოს ეგზარხოსის აზრი წარდგენილი სინოდისაგან, რომლითაც მთელ საქართველოს სამღვდელოებას ჩამოერთვა უფლება სასწავლებლის ზედამხედველების არჩევისა; მოესპო აგრეთვე სასწავლებლის სამმართველოებს უფლება ზედამხედველის თანაშემწის არჩევისა. ეს უფლება აქვს ეხლა მინიჭებული ეგზარხოსს. ვინც უნდა მას, იმას დაამტკიცებს და ვინც უნდა, იმას გამოცვლის.

საქართველოს მღვდლებისათვის სასწავლებლის წესდებას არა-ვითარი მნიშვნელობა აღარ აქვს. . . . .
. . . . . . .

იმ დროს როდესაც ყველა წოდებას სხვა-და-სხვა უფლება ეძლევა საქართველოს სამღვდელოებას ერთმევა ერთად-ერთი უფლება, რომელიც ძას ჰქონდა მინიჭებული სასწავლებლის წესდებით...

ჯველას წარმოვიდგენდით, მაგრამ ამ პარაგრაფის მოშლას ჩვენი მაღალ ყოვლად-სამღვდელო იოანნიკეს ეგზარხოსობის დროს კი ვერ ვიფიქრებდით. ღმერთმან ჰქმნას, ამ უფლებით იმას ესარგებლნოს რიგიანად, არ დაეჩაგროს მღვდლები და მათი დამწვარი გული დაელხოს რიგიანის განკარგულებით. მეტი რაღა გვეთქმის? იმედით მაინც ვინუგეშოთ თავი!..

ქართველი მღვდელი.

## ახალი ამბები

—

რუსულ გაზეთს „პორიადოკ“-ში დაბეჭდილია:

„კავკასიიდამ იწერებიან, ადგილობრივ მთავრობას განზრახვა აქვსო, რომ ბათუმისა და ყარსის მაზრებში გადასასახლებლად რუსეთის შუაგულ გუბერნიიდამ მოიწვიოს ხალხიო და ამისათვის გარდასახლების მსურველთ დიდ შემწეობას ჰპირდებიან ხაზინიდამაო.

„რასაკვირველია, რუსეთში ბევრი ხალხია, რომელსაც სხვაგან გადასახლება ეჭირება; მაგრამ ამასთანავე ისიც უნდა ვსთქვათ, რომ კავკასიის გარდა, სხვა თავისუფალი ადგილებიც ბევრი გვაქვს, სადაც შეიძლება ხალხის გადასახლება. საქმეც იმაშია, რომ გარდასახლებას ჩვენში ისე კი არ უყურებენ, როგორც საზოგადო-სახელმწიფო საჭიროებას არამედ როგორც კერძო. ადგილობრივ საჭიროების დაკმაყოფილება: ამ შემთხვევაში რუსის ხალხის საჭიროების დაკმაყოფილებაზე კი არ ვზრუნავთ, რამედ ბათუმისა და ყარსის მაზრების მოთხოვნილებაზედ.“

* * *

გაუღლ 25 იანვარს პეტერბურღში, კონონოვის კერძო თეატრში, ქართულ-სომხური წარმოდგენა გაუმართავთ. წარმოუდგენიათ, ქართულად ზ. ა. ცაგარელის სამ-მოქმედებიანი კომედია „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ და სომხურად კი გ. ტერ—გრიგორიანცის ვოდევილი „ესეც შენი წილი შენობა!“

ზემოხსენებული გაზეთი „პორიადოკ“ ამ წარმოდგენის თაობაზედ ამბობს, რომ კამედიის მოთამაშეებში განსაკუთრებული ხელოვნება გამოიჩინეს ბ. ყიფშიძემ და ო. ანდრონიკოვმაო, ვოდევილში ბ.ბ. ლისიცევმა, მირზოევმა და თამამშოვის ქალმაო. ტანისამოსი, თამაში და მუზიკა ცოცხლად წარმოუდგენდა მაყურებელს კავკასიის ცხოვრებას და განსაკუთრებით ერთგვარ ტფილისის ტიპს, რომელსაც „კინტოს“ ეძახიანო. კინტო მხიარული, უდარდელი, თავმომწონე ხალხია. ამათი მხიარულება, ქეიფი და საზოგადოთ ხასიათი ჩინებულად იყო სცენაზე გამოხატულიო.

„სომხური ვოდევილი გვარიანად ითამაშეს, თუმცა პიესაში ერთობ დიდი და უსარგებლო მონოლოგებია

„სპექტაკლის შემდეგ საზოგადოებამ ლეკური მოითხოვა, რომელიც მშვენიერად ითამაშეს. ორგვარი ლეკური ითამაშეს: ქართული; და უკანასკნელი მ. ლეკური იმით განირჩევა, რომ ფეხის ცერებზე შეაგებიან და ისე თამაშობენ. ერთმა მოთამაშემ, რომელსაც ფეხებზე წუღები ეცვა და ხელში ეჭირა ხანჯლები, მშვენიერად ითამაშა ეს ლეკური.

„ლეკურის შემდეგ ევროპიული ტანცები დაიწყეს, რომელიც დილის სამ საათამდინ გაგრძელდა. სხვათა შორის რამდენიმე ყმაწვილი ცალკე ოთახში მოგროვდნენ და ქართული სიმღერები იმღერეს დუდუკზე. ბევრი უცხო ქვეყნელები, რომელთაც პირველად ესმოდათ ეს სიმღერები, დიდის სიამოვნებით უგდებდენ ყურს მომღერლებსა.

„სპექტაკლის მოთავეებმა გადაწყვიტეს, რომ პიესების ლიბრეტტო (შინაარსი) რუსულად დაბეჭდონ. ეს თუ შეასრულეს, უეჭველია, მაშინ უფრო მომეტებული ხალხი ივლის ამ კავკასიურ სპექტაკლებზე.“

* * *

ჩვენ გვაცნობებენ შემდეგ ამბავს, რომელიც გუშინ 2 თებერვალს მომხდარა:

ბაზახანის უბანში ერთს ღარიბ ოჯახში მომკვდარა პატარა მოსამსახურე გოგო; რადგან მიცვალებულს ქრისტიანი არავინ ჰყოლია, პატრონებს იმის გვამის გარდასატანად დაუქირავებიათ მუშები და ამასთანავე მოუპატიჟნიათ ჯვარის მამის ეკლესიის მღვდელი მ. დ. ზ—ძე. მაგრამ მოსულა თუ არა მღვდელი და დაუნახავს, რომ მიცვალებულს პატრონი არავინა ჰყავს და მუშები მიასვენებენ სასაფლაოზე, მიუტოვებია მიცვალებული, ამდგარა და შინ დაბრუნებულა!

საღამოს 4 საათზე მიცვალებული

---

გაწირული მუშაა როგორც ქალებში, ისე კაცებში, თუ გინდა, მწერლებშიც. აბა ვინ იცის მათი ან სახელი და ან გვარი, ვინ დაეძებს მათ ტანჯვას, მათ შიმშილს, თეატრის მუშას კი საჩუქრებით აბეზრებენ თავს, იცნობენ ყველგან და აქებენ.

მადლობა ღმერთს, ეს ერთი აზპარეზი მაინც არის, სადაც შრომა არ იკარგება. არტისტები ღირსი არიან ამავბის ყველასი, თუ კი თავის მოვალეობას კეთილათ შეასრულებენ, რადგანაც მათი მოვალეობა და მნიშვნელობაც დიდია ხალხისათვის, თუ სწორ გზაზედ კი ივლიან...

აქტიორი იგივე მოქადაგეა ხალხისა. ის არის მწერლის თანაშემწე მოკავშირე. მწერლის სურათებს ის ახორციელებს და ერთად თავ-მოყრილ ხალხს ცოცხლად და ნათლად გადასცემს. ერთსა და იმავე დროს აქტიორს ან აქტრისას შეუძლიან ამოდენა ხალხს აგრძნობინოს ისე, როგორც თვითონა გრძნობს; თვალი აუხილოს და დაანახვოს: რა არის ცუდი და რა არის კარგი; რა არის საგულისხმო, ან რა არის საქები და სასიამოვნო. ერთის სიტყვით დააფიქროს, აგრძნობინოს და ამოქმედოს...

რასაკვირველია, თუ ამავბს ყველაფერს აასრულებენ, დაკარგული არ არის ის პატივი, რომელსაც ხალხი მათ უძღვნის და თუ კი ამავბს არ აასრულებენ და ცდილობენ მხოლოდ ხალხის გაცინებასა გარეგნობით გულის მოგებას, ეს ხომ ჯამბაზობა იქნება და მაშინ სასტიკათ მოსაპყრობიც იქნებიან.

ახლა აქედამ შეგვიძლიან გადავიდეთ კერძოზედაც და მოვიხსენიოთ ჩვენი აქტიორები

იმათ არ შეუძლიათ უჩივლონ ბედს და ესაყვედურონ საზოგადოებას, თუ არ დავივიწყებთ იმას, რომ სხვები ხსენებაშიდაც არ არიან და ლუკმა ენატრებათ მაშინ, როდესაც მათი პატიოსანი შრომა არაფრათ არ ჯილდოვდება, და აქტიორების კი უხვად.

და მაშ სადამე, ჩვენი აქტიორები ვალდებული არიან ასე ასრულებდენ თავიანთ მოვალეობას, როგორც ზემოთ საზოგადო კანონათ დაესახათ აქტიორისათვის. — ამ მოვალეობას მწერლობა პირუმთნეველათ მოსთხოვს მათ და წინააღმდეგ შემთხვევაში ეცდება თავისი მკაცრი აზრი წარმოსთქვას ხოლმე მათ შესახებ და ნურაფერს უკაცრავათ.

აკაკი.

## თეატრის მატიანე

ა. მ. მოხეჯის ბენეფისი: „ადმზრდელები“ კომედია ორს მოქმედებად, თხზულება მოხსუბარიძისა. „ყველაფერი ბედზედ არის“, ვოდევილი იმავე ავტორისა.

—

ა. მოჩხუბარიძემ დაწერა და წარმოადგინა შარშან დრამა „ერთი უბედურთაგანი“. წრეულ თვითონვე ავტორმა ეს დრამა კომედიათ აქცია: დრამის პირველ მოქმედებას მიუმატა ახალი მოქმედება, რომელშიაც ზოგიერთ სცენა დრამიდამვე არის ამოღებული, და გამოვიდა ახალი პიესა—კომედია. (ასე რომ ერთსა და იმავე მოქმედებას გინდა დრამაში ნახავ, გინდა კომედიაში). სწორედ გითხრათ პირველად მესმის, რომ რომელსამე ავტორს დაეწეროს და წარმოედგინოს, ვსთქვათ, დრამა და მერე იმავე ავტორს იგივე დრამა კომედიათ გადაეკეთებინოს და აგრეთვე წარმოედგინოს სცენაზედ. მაგრამ, ჩვენ მიჩვეულნი ვართ საზოგადოებისა და მაყურებლის გულ-კეთილობას, ჩვენ ყველაფერს მოვინელებთ; ნუ თუ ხელის გულები დაგვენანდება ტაშისათვის: აბა, რა გვენაღვლება, კაცს ვასიამოვნებთ, სხვა ხომ არა დაგვაკლდება-რა? ერთით კი ბარაქალა მაჩხუბარიძეს: თავისის დრამის გადმოკეთებით თითქო თვითონვე აღიარა—ჩემი დრამა უხეირო და გამოუსადეგიაო. ჩვენდა სამწუხაროდ არც კომედიაა ხეირიანი; მაგრამ მაინც დრამას კი ათასწილად სჯობია. როგორც დრამა ისე კომედიაც რთული პიესა არ არის, მაგრამ, სხვა რამ არ იყოს-რა იმითი მაინც არის შესამატი ჩვენის ტრუპპისა და სცენისთვის, რომ საფაროვის ქალის რეპერტუარს მოემატა კიდევ ერთი როლი, რომელშიაც ამ მოთამაშეს შეუძლიან გამოიჩინოს თავისი ნიჭი და ხელოვნება. საფაროვის ქალი ძალიან კარგად თამაშობს ჭირვეულს და გაბუტულს ყმაწვილს; ეს თამაშობა უფრო მრავალ ფეროვანი იქნებოდა მოთამაშე რომ მეტად დაჰკვირვებოდა თავის როლს.

მეორე მოქმედება გამონასკულია მთლად ყმაწვილ ზიორგის (საფაროვის ქალი) ყოფა-ქცევაში ზიორგის დედ-მამა სტუმრებს მოელიან. ზიორგი გაბუტულია და სტუმრებთან გასვლას არ აპირებს. დედა და მამა ცდილობენ რა გორმე დაიყოლიონ ჭირვეული გიორგი. ზიორგიც, რომელსაც ჯიბის ფული გამოლევია, თავის მხრით ცდილობს შეურიგდეს როგორმე დედ-მამას, მაგრამ ისე, რომ თავი არ დაიმდაბლოს. რისთვის არის ამ მოქმედებაში გამოყვანილი სვიმონი და ნინო, მისი ქადაგება სამკერვალო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმღვდლოთ და წესის აუგებლად ექვს მუშას წაუღიათ და დაუსაფლავებიათ. ბაზასხანაში რომ ჩამოატარეს, ხალხი ძალიან გაჰკვირდა თურმე, რომ ასე უმღვდლოთ, თითქო „სამოქალაქო წესით“ მიასვენებენ მიცვალებულსაო.

სასურველია, რომ ეს ამბავი მართალი არ გამომდგარიყოს...

* * *

მივაქცევთ ჩვენი თფილისელი მკითხველების ყურადღებას „ვეფხვისტყაოსნის“ რედაქციის განცხადებას რომელიც დღეს იბეჭდება ჩვენს გაზეთში. პირველი ყრილობა ამა რედაქციის, რომელშიდაც მოწვეულნი არიან ყოველნი ქართული მწერლობის მოყვარენი, არის დანიშნული პარასკევს, 6 თებერვალს, საღამოს 8 საათზე თფილისის საადგილ-მამულო ბანკში.

## წერილი რედაქტორთან

—

ბატონო რედაქტორო!

№ 266 წარსულის წლისა და მე-8-ში წლევანდლისა თქვენის პატივცემულის გაზეთისა გახლავსთ დაბეჭდილი წერილები მარტვილიდამ ხელმოწერილი „მარტვილელი“.

პირველს წერილში ავტორი შეეხება მარტვილის სასულიერო სასწავლებელს და რაღაცებს მიჰკიბ-მოჰკიბავს შესახებ იმის ადგილ-მდგომარეობაზედ. წერილის ტონიდამ ცხადათა სჩანს, რომ ავტორს „ეწვის კუჭი“ — თუ ვინიცობაა სასწავლებელი გადაიტანეს ეხლანდელის მისის ალაგიდამ, და არა ღირს საზოგადოთ პასუხათ. არ ღირს ეგრეთვე შინაარსი წერილისა, რადგან ვისაც ჰსურს, შეუძლიან მოიგონოს ან წაიკითხოს დაწვრილებითი აღწერა, საქმის მდგომარეობა თქვენსავე გაზეთში მე-61, 62, 63, 64 და 66 №№ 1879 წ. გამეორებათ არცა ღირს და დიდს ალაგსაც დაიჭერდა.

მივაქცევ მკითხველის ყურადღებას მხოლოდ შემდეგზედ:

1) მარტვილელის წერილში არის ნათქვამი, რომ, როდესაც შარშან ნოემბერში ვიღაც ავაზაკს უნდოდა სასწავლებლის სახლისთვის ცეცხლის წაკიდება, არც ერთი ყარაული იმ ღამეს იქ არ იყოო. ეს გახლავსთ წმინდა ტყუილი. იქ ღამეს, ყველამ იცის, სტოროჟები იყვნენ თავის ალაგს; იმათ მხოლოდ ვერ შეემცნივნათ — როდის მოსულიყო დამწველი და სდომებოდა დაწვა.

2) სასწავლებელში მსახურთ, რადგან უნდათ სასწავლებლის მარტვილიდამ გადატანა, მოიგონეს ტყუილათ შეგირდების ავათმყოფობაო. ესეც **უსინიდისო ტყუილია.** იმაზედ მეტი ავათმყოფობა არ შეიძლება, როდესაც 350 შეგირდში ერთ დროთ 95 ავათმყოფია და ერთი კვირის განმავლობაში კვდება 4 შეგირდი. ეკითხოს დოქტორ ბარნოვსკის.

3) მარტვილის საზოგადოებას ძალიან უნდა სასწავლებლის აქ დარჩენაო. ეს ახალი ამბავი არ გახლავსთ, იყო მოხსენებული ზემო-ჩამოთვლილ „დროების“ №№-ში და იქავე იყო მოყვანილი მიზეზიც ამ სურვილისა. იყო მოხსენებული, რომ იმიტომ კი არა ჰსურთ მარტვილში სასწავლებლის დარჩენა, რომ სასწავლებლისთვის უნდოდეთ კეთილი, ან ესმოდეთ რაში მდგომარეობს ეს სიკეთე, — არამედ იმიტომ რომ ვადატანის უმალ უმეტესს ნაწილს მოესპობა წყარო ცხოვრებისა; უმეტესი ნაწილი მარტვილისა ცხოვრობს სასწავლებლიდამ. მარტვილს იმოდენათ უნდა სასწავლებლის აქ დარჩენა, იმოდენათ იცის იმან, რომ სასწავლებელი არის უპირველესი ძარღვი იმის ცხოვრებისა, რომ მცხოვრებნი არ ერიდებიან არა საშუალებას, თუნდ კაცის უკადრისი იყოს ეს საშუალება, ოღონდ კი, იმით აზრით, საქმეს ეშველოს რამე.

ის ნაირი საშუალება, რომელსაც ხმარობენ მარტვილელები, თავიანთ სურვილის ასასრულებლათ, გახლავსთ, სხვათა შორის წერილი დაბეჭდილი მე-8 №-ში და შამემთხვევა იქ აღწერილი.

რა ითქმის ამ წერილზე? — ვკითხე ჩემს თავს, როცა ის წავიკითხე. არაფერი და არცა ღირს. თუმცა ამ სამის წლის მარტვილში ყოფნამ საკმაოდ შემაჩვია აშკარა პირში სიცრუვეს, — მაგრამ რომ კაცმა აიღოს ხელში კალამი და ეს უსინიდისო სიცრუვე აღწეროს და გაგზავნოს დასაბეჭდათ, მაინც-და-მაინც არ მოველოდებოდი. არ მოველოდებოდი, რომ კაცისაგან შესაძლებელი იყოს ასე სინიდისის და პატიოსნების გაწყვეტა და ეხლა, თუმცა საშინლად მეზიზღება, აგრე მგონი მყრალს მძოვრს რამეს ვავლებმეთქი ხელს, მაგრამ იძულებული ვარ ვსთქვა ორიოდ სიტყვა ამ წერილზედაც, რადგან რა იცის გარეშე პირმა რაშია საქმე:

ამ უკანასკნელს დროში გავრცელდა ხმა, რომ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის გადატანა მარტვილიდამ გადაწყდაო. მე არვიცი ვინ გაავრცელა ეს ხმა და, როგორც საქმესთან დაახლოვებულმა, შემიძლიან ვსთქვა, რომ ეს ხმა ჯერეთ უდროოა. ხმა მაინც გავრცელდა და თუ აქამომდე მარტვილს იმედი ჰქონდა რამისა, ეხლა სრულიად სასოწარკვეთილებას მიეცა. შედეგი ამისი იყო და არის ის, რომ ის მომეტებული ნაწილი სოფლისა, რომელიც სასწავლებლით ცხოვრობდა და ცხოვრობს, მოვიდა საშინელი ბრაზზე და შეუდგნენ მიზანს: გახეთქონ ეს ბრაზი იმ პირებზედ, რომელთაც უნდათ სასწავლებლის გადატანა.

მე უწინაც მომიხსენებია და ეხლაც არა ვმალავ, რომ, სანამ სასწავლებელი იყო მარტვილის საპრიხოდო სკოლა, იმას მოჰქონდა საკმაო სარგებლობა და მარტვილში იყო თავის ალაგს; ეხლა, როდესაც ის გახდა სასწავლებლად სენაკის, ზუგდიდის, აფხაზეთის და სამურძაყანოს მაზრებისა, ეხლა, როდესაც მოთხოვნილებანი იმისგან, როგორც სასულიერო სასწავლებლიდამ, გამრავლდნენ, — ის მარტვილში არის უალაგო-ალაგას და გაშენება სამუდამო სასწავლებლის სახლისა აქ იქმნება ტყუილად ფულის გადაყრა და სასწავლებლის დაღუპვა.

ამავე აზრისანი არიან ყველანი, რომელთაც ესმისთ საქმე და მარტოკა თავიანთ პიროვნულ სარგებლობას არა ზდევენ და იმათში არიან, რა

---

ზედ—რა მოგახსენოთ. ეს ქადაგება და ლაპარაკი ნინოსთან დრამიდამ არის ამოღებული. მაგრამ დრამაში ყველა ამას შედეგი რამ მაინც მოსდევდა, — თვითონ დრამაც ამ შედეგში იყო გამონასკული. მაგრამ ზემოხსენებულ მოქმედებაში კი არც სვიმონს (მოხევე), არც ნინოს (ხეიძის ქალი) არავითარი ადგილი არა აქვსთ, და მათი ლაპარაკი მაყურებლის მოსაწყენად თუ არის საჭირო, თორემ სხვა არაფრისათვის.

თუ გნებავსთ აზრიც მოჩანს მოჩხუბარიძის კომედიაში: უხეირო აღზრდა შვილისა, დამყარებული უგუნურ სიყვარულზედ. იქნება კიდეც ამიტომ „აღმზრდელები“ დაურქმევია ავტორს თავის კომედიისათვის. მაგრამ, სამწუხაროთ, ავტორს მძიმე და არაშესაფერი ტვირთი აუკიდნია. მისმა სულიერმა ძალამ ვერ შესძლო რთულის პიესის დაწერა ამ საგანზედ, და შეადგინა მხოლოდ რამდენიმე როლი, რამდენიმე ნაწყვეტ-ნაწყვეტი სცენა ჩვენის ცხოვრებიდამ, რომელნიც ჩვენის თეატრისათვის არ არიან გამოუსადეგნი, მეტადრე იმისთანა ნიჭიერ მოთამაშეთ, როგორნიც არიან ბაბუნიას ქალი, საფაროვის ქალი და პოტე ყიფიანი. ამ სამს მოთამაშეზედ გაბედვით შემიძლიან ვსთქვა, რომ მათ მოჩხუბარიძის კომედიაში გამოიჩინეს ნამდვილი სასცენო ხელოვნება: მათ, თავიანთ ნაჭიერობის ძალით, ფერი მისცეს თვით უფერულ მოქმედ პირთ და რაც ავტორის მიერ მკრთალად იყო გამოხატული, მოთამაშეებმა განაცხოველეს და მით მიანიჭეს ღირსება, რომელსაც მოკლებულია თვით ავტორის ქმნილება.

კომედიის პირველ მოქმედებაზედ არას ვამბობ, რადგან თითქმის იგივე მოქმედება არსებობს დრამაშიაც: იგივე საზიზღარი ცემა-ტყეპა, რომელსაც სცენაზე ადგილი არ უნდა ჰქონდეს, იგივე ტყუილ-უბრალო, ყოველად უმნიშვნელო გასვლა-გამოსვლა, ლაპარაკი და სხვ.

შესახებ თამაშობისა ზემოდაცა ვსთქვი, რომ ბაბუნიას ქალმა, პ. ყიფიანმა და საფაროვის ქალმა ძალიან კარგად აასრულეს თავიანთი როლები. აქ უნდა შევნიშნო: ბაბუნიას ქალის თამაშობა, მეტადრე იმ სცენაში, რომელიც სწარმოებს სალომეს (ბაბუნიას ქალი) და სვიმონის (მოხევე) შორის და შემდეგ, როდესაც მოუსწრებს მათ დავითი. ამ სცენაში ბაბუნიას ქალმა გამოიჩინა იმისთანა თამაშობა, რომელიც მოსალოდნელია მხოლოდ გამოცდილისა და სცენაზედ კარგა ხნის ნამყოფ მოთამაშისაგან. სიყვარულის წარმოდგენა და გამოხატვა სცენაზედ საზოგადოდ ძნელია; აქ ყოველი მიხვრა-მოხვრა, ლაპარაკი, ხელის მოძრაობა, თვალის დახამხამება და სხვ. უფრო მტკიცედ უნდა იყვნენ შეფერებულნი ერთი-ერთმანეთში, ვიდრე იმისთანა როლების თამაშობაში, რომელთა გამოსახატავად გარეგანი მოძრაობა და ეფფექტიც, ცოტად თუ ბევრად, საჭიროა. შენი მტერი, თუ მოთამაშემ ერთის წუთით დაავიწყა ხმის ამაღლება ან დადაბლება, თუ დროზედ არ გაიღიმა, თუ ჯეროვანი მოძრაობა ხელისა არ იხმარა და სხვ. — წახდა მთელი სცენა.

ვოდევილზედ „ყველაფერი ფეხზედ არის“ რაღა გითხრათ? გამოყვანილნი არიან ცოლ-ქმარნი, რომელნიც ატყუებენ ერთმანეთს: ცოლსაცა ჰყავს საყვარელი, ქმარსაც. ქმრის საყვარელი და ცოლის საყვარელი შეხვდებიან ერთმანეთს. გამოჩნდება, რომ ამათ დიდი ხანია ჰყვარებიათ ერთმანეთი. ბოლოს ოთხნივე ერთად შეყრილნი, საცინელს მდგომარეობაში არიან. საცინელს-მეთქი, თუმცა სწორედ გითხრათ, ყველა ეს არავითარ სიცილს არა ჰგვრის მაყურებელს, რადგანაც მეტად გაუჭიანურებია ავტორს თავისი თხზულება. ზემოხსენებულ საგანზედ ათასი ვოდევილია და შეიძლება კიდევ ათი-ათასიც დაიწეროს, მაგრამ თავი და თავი პირობა ამ შემთხვევაში არის სიმოკლე მოქმედებისა და სიცხოველე მოძრაობისა. ბარდა ამისა პიესას ფხა უნდა ჰქონდეს რამ, რომ ცოტად მაინც გაამხიარულოს მაყურებელი. ამ გვარი არა არის-რა მოჩხუბარიძის ვოდევილში. ავტორის ვითომ-და მახვილ-სიტყვაობამაც ახალ თეკეს შესახებ არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა საზოგადოებაზედ და უქმად ჩაიარა.

მებენეფისეზედაც უნდა ვსთქვათ ორიოდე სიტყვა. ბატ. მოხევე ჯერ დიდი ხანი არ არის, რაც თამაშობს და იმიტომ მის ავტორობაზედ საზოგადოდ მტკიცე აზრის შედგენა არ შემიძლიან. მაგრამ, რამდენადაც მონახავს, იგი, ჩემის აზრით არასოდეს არ გახდება ცოტაოდენადაც თვალ-საჩინო აკტიორად. ბატ. მოხევეს სრულიად არა აქვს ნიჭი შესაფერი იმ როლებისა, რომლებსაც თამაშობს. ის მოკლებულია ჯეროვან მოძრაობას, იმ სიჩვილეს, რომლის ძალითაც კაცს შეუძლიან გინდ ერთს თვისებას, შეითვისებსგინდ მეორეს უამისოდ აკტიორობა შეუძლებელია. იქნებაბატ. მოხევე მეორე ხარისხის როლებში სასარგებლო იყოს ცენისათვის, — ვნახოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქმა უნდა, მასწავლებელნიც სასწავლებლისა, რომელნიც ეხლანდელს უხერხობას სასწავლებლის ადგილმდგომარეობისას და საზოგადოთ ეხლანდელი წყობილობისას გრძნობენ თავიანთ ტყავზედ.

(დასასრული შემდეგ №-ში.)

## თფილისის სამკურნალო

ავთმოფეები მიიღებიან დილის ცხრა საათიდან ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

**ორშაბათს.** გავრასსკი — ექიმი ბებიაობისა და ქალების ავთმოფოობისა; გორალევიჩი და ლისიცოვი — შიგნისაგან ავთმოფოობისა; **როტინიანცი**—ქალებისა და უმაწვილების ავთმოფოობისა, ბაბაევი სისუსტის და შინაგან ავთმოფობისა; **შტემბორსკი** ვენერიულ და ტუალის ავთმოფოობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—სირუგიული ავთმოფო.; რეისი — თვალების ავთმოფოობისა; ბასუტოვი—ბებიაობისა, ქალებისა და უმაწვილების ავთმოფოობისა; **ბეტროვსკი**—ვენერიულ ავთმოფოობისა,

**ოთხშაბათს.** კრასნოგორიადოვი და ლისიცოვი შინაგან ავთმოფოობისა; ქიუსარიანცი და **შტემბორსკი**—რიფილიტიკური და ტუალის ავთმოფოობისა.

**ხუთშაბათი** გავრილსკი—ბებიაობისა და ქალების ავთმოფო.; **როტინიანცი**—ქალებისა და უმაწვილების ავთმოფ.; ბაბაევი ძარღვების სისუსტისა და ელექტრო-ტერაპიისა ლისიცოვი და **ბეტროვსკი** შინაგან ავთმოფოობისა; ქიუსარიანცი 1-ლი სიფილისტიკური ავთმოფოობის.

**პარასკევს.** მინკევიჩი—სირუგიულ ავთმოფოობის; ბასუტოვი—ბებიაობისა, ქალებისა და უმაწვილების ავთმოფოობისა; კრასნოგლიადოვი, ლისიცოვი და გურმიშოვი—შინაგან ავთმოფოობისა; **შტემბორსკი** — ვენერიული და ტუალის ავთმოფოობისა.

**შაბათი.** ლისიცოვი — შინაგან ავთმოფოობის. რეისი—თვალების ავთმოფოობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტისა და შინაგან ავთმოფოობის; ქიუსარიანცი 2-რე—ქალებისა და შინაგან ავთმოფოობისა.

**ობრუსტი** — კბილის ავთმოფოვებს, მიიღებს თავის სახლში მუდამ დრამ დარიბებს საავთმოფოს ბარათებით.


# განცხადებანი

ცალკე ნომრები

## „დროებისა“

**თფილისში** ისყიდება: შაევრდოვის მაზეთის საააგენტოში, აზნაურეოვის თამბაქოს მაღაზიაში და თვითონ რედაქციაში (პროსპეკტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებში).

**ქუთაისში** ივ. ნიკოლაძის და შვილების მოდის მაღაზიაში და ბერარდის წიგნის მაღაზიაში.

ამას გარდა ფოთი-თფილისის რკინის გზის ვაგონებში კონდუქტორებთან.

## ჩრდილოეთის მზღვეველ საზოგადოების აგენტის ბაბალოვისა

პატივი მაქვს ამით გამოვაცხადო საყოველთაოდ, რომ მე ვიღებ საზღვაოელად (სტრახში) ფოთში და იმის არე-მარეში: ქვის და ხის შენობებს და საქონელს სკლადებში და გარეთ დაწყობილს და აგრეთვე ზღვითა და ხმელეთით გასაგზავნ საქონელს.

(3—1)

## ინგლისის მაღაზიაში

**თვის ალ-ლაბ-ბაკ-ბაკ-ფერი**

ამაგრების თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის ბომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. **სჩოტკები** თავის ტკივილის მოსასშობლად, ტუალეტის საშანი, დუხები და სხვ.

(150—34)

# ინგლისის მაღაზია

*Maison de confiance*

ეადარეთ ნგენი ნაი—1 მ. 10 კ. შოსკოვის ნაის—1მ.40კ

| | |
|---|---|
| — — —1—20 | — —1—60 |
| — — —1—40 | — —1—80 |
| — — —1—60 | — —2— „ |
| — — —1—80 | — —2—50 |
| საუკეთესო—2— „ | — —3— „ |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურამები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25. დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში,

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100 - 88)

**ინგლისის მაღაზიაში** ისყიდება რევოლვერები, რომლითაც შეიძლება ოცი ავაზაკის ერთად მოკვლა, ფასი 1 მან. 50 კაპ. ყველა ინგლისის იარაღები ისყიდება აქ 30 პროცენტ ნაკლებ ვირემცსხვაგან. (20—16)

## კატენტიანი ჩოტკები

**თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებასათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებიანი 2 მანეთიდამ; სარძეგვ 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუკ; მოკოლადის კანფეთები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. ინგლიურს მაღაზიაში.** (100—87)

ისყიდება ყოველ-გვარი **თუჯისა და სპილენძის ნივთები გადასადნოგად**— წმ. გიორგის ეკკლესიასთან, მდივანის სახლებში, კახურ ღვინის სარდაფში. (25—11)

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაიჩაგებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, სახოანისა, შჩოკებისა, ცხვირ-სახოცისა, ქალალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უსაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლუბეკინი ზეთისა) და სხვ. **საგენტო** მაგინტოშის მოსასურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატეკერის და კაპშ. მურაბისა, აგრეთვე ხულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭაკანას სიგარები. (100—16)

**მიუხედავათ** იმისა, რომ ბაკი მოიმატა, საქონელი კიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ.-ვირვანქა უქალალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.** საგენტო ბარნსბის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ეკსტრაქტისა კაკაო ფრაის, რომელთაც დაიმსახურეს ბარიყის მსოფლიო გამოფენაზედ ოქრის მენდალი. გირვანქა სრომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ ჯაჭვები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ **ინგლისის მაღაზიაში.** მთელი კოსტიუმი 15 მ. ხვეულების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა.

100—17

**თფილისის ქვეყ-მოქმედის საზოგადოების** ჭრა-კერვის სკოლაში მიიღებენ დასაჭრელ, დასაბლანდ და საკერავ ტანთსაცმელთ ქალებისა და უმაწვილებისა; აგრეთვე ზომის აღებით ამზადებენ სხვა და სხვა თარგებს ბევრ გვარ ფასონისას. ყველა ზაკაზ ზომიერ ფასათ იღებიან.

მაურველთ ახალ მეთოდით ჭრაკერვის შესწავლისა შეუძლიანთ მიიღონ ამ საგანში გაკვეთილები, ცალკე დანიშნულ დროზედ იქვე სკოლაში. მთელი შეგროვილი ფული სკოლის გასამჯობესებლად მიდის. დაწვრილებით ამბავი შეიძლება შეიტყოს სკოლაში არსენალის ქუჩაზე, სახლი № 33. (3—2)

# ყმაწვილ

**კაცს ჭსურს** იშოვოს გუვერნიორის ანუ მასწავლებლის ადგილი. ადრესი წერილით: „დროების“ რედაქციაში ა. დ. სხელზედ, ანუ პირად 11-2 საათამდისინ. (3—3)


## ანგარიში

**ხონის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობისა**

1880 წლისა

10-ს იანვარს 1880 წლისა, ამხანაგობის გახსნის დღეს იყო:

წილის ფული—300 მანეთი.

1880 წელში:

**შემოსავალი:**

| | მან.—კაპ. | | მან.—კაპ. |
|---|---|---|---|
| წილის ფული . . . | 2358—84 | გასესხებული . . . | 2745— „ |
| სარგებელი . . . . | 335—10 | ხარჯი სამმართველოისა. | 69—73 |
| დაბრუნებული სესხი . | 2742— „ | | |
| სასარგებლოთ შემოტანილი ფული . . | 141—40 | | |
| ანგარ. წიგნების ფასი. | 14—60 | | |
| სულ | 5591—94 | სულ | 5814—93 |

1-ს იანვარს 1881 წელსა არის:

| | მან.—კაპ. | | მან.—კაპ. |
|---|---|---|---|
| წილის ფული . . . | 2658—84 | გასესხებული . . . | 3003— „ |
| სასარგებ. შემოტანილი | 141—40 | | |
| წმინდა მოგება . . . | 279—77 | ნაღდი ფული . . . | 77—1 |
| სულ | 3080—1 | სულ | 3080—1 |

წევრნი გამგებლობისა. { ბაგდე ქუთათელაძე, ევთიმე ჭალაკანიძე, ბიკენტი ქუთათელაძე.

(3—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ 3 Февраля 1881 г. Типографія Меликова გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი